ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 2924136001**
თარიღი:**15/05/2024**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის) ს.კ. 33.07.37.399 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 22 აპრილის N5/22664 წერილის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 13 მაისის N 28-282413421 წერილის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონება (მიწა) **ს.კ. 33.07.37.399** უსასყიდლოდ გადაეცეს საკუთრებაში სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, შემდგომში მისი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. განკარგულება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM